კონკურსის დებულება

1. ზოგადი

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს კონკურსის **„ჩემი სოფლის კულტურული მემკვიდრეობა“** ჩატარების წესს, რომელიც ორგანიზებულია ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ.

2. კონკურსის მიზანი

ახალგაზრდებში მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების მიმართ დაინტერესების გაღვივება, კვლევა, დაცვა და პოპულარიზაცია.

3. მონაწილეები

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ონის მუნიციპალიტეტის

- **14-18 და 19-29 წლის ახალგაზრდებს;**
- მონაწილეთა რაოდენობა **არ არის შეზღუდული**.

4. კონკურსის მიმდინარეობა

- ინფორმაცია კონკურსის შესახებ განთავსდება მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის “ფეისბუქ გვერდზე” - ონის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახური;
- მონაწილეებმა უნდა წარადგინონ 4 ფოტო და მაქსიმუმ 3 (სამ) წუთიანი ვიდეო მასალა, თანდართული ხმოვანი ტექსტით, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების შესახებ, რომელიც განთავსდება აღნიშნული სამსახურის “ფეისბუქ გვერდზე”;
- ნამუშევარი უნდა ასახავდეს უკვე ცნობილ ან პოტენციურად სტატუსის მისანიჭებელი ობიექტის შესახებ ინფორმაციას;
- კონკურსის დასრულება და გამარჯვებულის გამოვლენა .

5. **დაგეგმილი ვადები**

- კონკურსი ცხადდება 23 მაისს;
- მასალების მიღება – 31 მაისი, 00.00 სთ-მდე;
- გამარჯვებულთა გამოვლენა დადაჯილდოება - 1 ივნისი .

6. ნამუშევრების შეფასების კრიტერიუმები

ნამუშევრებს შეაფასებს - ონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შერჩეული საკონკურსო კომისია და სოციალური ქსელის მომხმარებელი.

სოციალური ქსელის მომხმარებელი ნამუშევარს აფასებს **მოწონებების (ლაიქების) საშუალებით.**

- 14-18 წლის კატეგორიაში ორი გამარჯვებული გამოვლინდება (კომისიის რჩეული და სოციალური ქსელის მიერ შერჩეული ახალგაზრდა).
- 19-29 წლის კატეგორიაში ორი გამარჯვებული გამოვლინდება (კომისიის რჩეული და სოციალური ქსელის მიერ შერჩეული ახალგაზრდა).
- სულ: ოთხი გამარჯვებული.

7. კომისიის წევრები :

- ონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.
- ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური.
- ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი.
- ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

8. **პრიზები**

- გამარჯვებულებს გადაეცემათ **ფასიანი საჩუქრები**.

9. **პროექტის შედეგები**

- ახალგაზრდების გააქტიურება და ჩართულობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციაში;
- კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების დოკუმენტირება და პოპულარიზაცია;

- საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდა;
- ტურისტული პოტენციალის ზრდის მხარდაჭერა.

10. **კონკურსის ორგანიზატორი** :

- ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური.